ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 38

ქ. ლაგოდეხი 02 მარტი 2016 წ.

ხელშეკრულების დამდები მხარეები

მხარეები, ერთის მხრივ, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობა (ს.ნ.233144987) შემდგომში – „შემსყიდველი“, წარმოდგენილი გამგებლის კარლო ჯამბურიას სახით, და მეორე მხრივ, შ.პ.ს. "სპორტ სალერ ცენტრი" მისი დირექტორის ლევან ხარებავას სახით (ს.ნ.404421345), შემდგომში – „მიმწოდებელი“, ვხელმძღვანელობთ, რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სპორტული ტანსაცმლის /CPV18400000 - 395ლარი/, სპორტული ფეხსაცმლის /CPV18800000 - 325ლარი/ და სპორტული ჩანთის /CPV18900000 - 60 ლარი/ მიწოდება თანდართული ფასების ცხრილის შესაბამისად.

2.ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის მთლიანი ღირებულება შეადგენს 780 /შვიდას ოთხმოცი/ ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

3.1 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ერთჯერადად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 10(ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

3.2. საქონლის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, "სპორტ სალერ ცენტრი"-ს მაღაზია.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

4.2 მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

5.2. იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს,ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მიწოდებული საქონლის მიღებას, ხოლო თუ, საქონლის მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ საქონელი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი მომსახურება და დაუბრუნოს იგი მიმწოდებელს მიმწოდებლის ხარჯით.

5.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 5.2. პუნქტის საფუძველზე არ განხორციელდა საქონლის მიღება, მიმწოდებელი ვალდებულია 3 (სამი) დღის ვადაში უზრუნველყოს ნაკლის გამოსწორება, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების 14.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.4. მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს საქონლის მიწოდებისას მიღება–ჩაბარების აქტი, შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტი.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების 5.4. პუნქტის შესაბამისად მიღება–ჩაბარების აქტის და შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმეტის საფუძველზე, არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი'' ვალდებულია:

7.1.1. „შემსყიდველს'' მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.2. უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის გამოსწორება 3 (სამი) დღის ვადაში;

7.1.3. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.4. დროულად განიხილოს „შემსყიდველის'' მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი'' ვალდებულია:

7.2.1 უზრუნველყოს „მიმწოდებლის'' დროული და სრული დაფინანსება;

7.2.2 დროულად განიხილოს „მიმწოდებლის'' მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლებები

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლი;

8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

9. ფორს–მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის შეჩერება ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს–მაჟორი'' ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3.ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარიდან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა შესაბამისი რაოდენობისა და ხარისხის საქონლის მიწოდება, მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულების 0,5%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14.2. იმ შემთხვევაში თუ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ღირებულების 5%–ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნას:

15.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

15.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

15.1.3 .ერთ–ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) კალენდალური დღის განმავლობაში;

15.1.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

16. ხელშეკრულების მოქმედებს ვადა

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 15 აპრილამდე.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

17.2. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

17.3. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“, მეორე ეგზემპლარი „შემსყიდველთან“.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	შ.პ.ს. "სპორტ სალერ ცენტრი"
ს/კოდი: 233144987	ს/კოდი: 404421345
მის: ქ. ლაგოდეხი, 26 მაისის ქ.N25	მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N21
ს.ს. „ლიბერთი ბანკი"ლაგოდეხის ფილიალი	ს.ს. „თიბისი ბანკი",
ბ/კოდი LBRTGE22	ბ/კოდი TBCBGE22
ანგ. N GE37LB0120118067888000	ანგ. N GE27TB7903936080100003
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი:	შ.პ.ს. "სპორტ სალერ ცენტრი"-ს დირექტორი:
კარლო ჯამბურია	ლევან ხარებავა

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №
02.03.2016წ.

დანართი №1

	საქონლის დასახელება	რაოდენობა	CPV კოდი	ერთეულის ფასი(ლარი)	საერთო ფასი(ლარი)
1	პოლო მაისური	1	18400000	39	39
2	მაისური	1	18400000	34	34
3	ქუდი	1	18400000	45	45
4	ქურთუკი	1	18400000	124	124
5	შარვალი	1	18400000	43	43
6	მაისური	1	18400000	42	42
7	შორტი	1	18400000	48	48
8	კეპი	1	18400000	20	20
9	ბოტასი	1	18800000	200	200
10	ფეხსაცმელი	1	18800000	125	125
11	ჩანთა	1	18900000	60	60
			სულ 780 ლარი		

შემსყიდველი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი
ს/კოდი: 233144987
მის: ქ. ლაგოდეხი, 26 მაისის ქ.N25
ს.ს. „ლიბერთი ბანკი''ლაგოდეხის ფილიალი
ბ/კოდი LBRTGE22
ანგ. N GE37LB0120118067888000

მიმწოდებელი

შ.პ.ს. "სპორტ სალერ ცენტრი"
ს/კოდი: 404421345
მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N21
ს.ს. „თიბისი ბანკი'',
ბ/კოდი TBCBGE22
ანგ. N GE27TB7903936080100003

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
გამგებელი:

კარლო ჯამბურია

შ.პ.ს. "სპორტ სალერ ცენტრი"-ს
დირექტორი:

ლევან ხარებავა